საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "მაქს იმპორტი"-ს
დირექტორი

დავით ზურაბიშვილის
ტელ: 591 23-11-11; 551 00-10-00;
david.zyrabishvili@yahoo.com

№ 16123
"13" 10 2020
2/C2
03

განცხადება

შპს „მაქს იმპორტი"-ს გააჩნია ორ მომიჯნავე ტერიტორიაზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდები მათი გაერთიანებამდე 02.07.02.895 და 02.07.02.896), გააჩნია 3 ტ/სთ წარმადობის და 8 ტ/სთ წარმადობის ცემენტის წარმოების საამქროები (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით), რომლებზედაც გაცემული იყო შესაბამისი გარემოზე ზემოქმედების ნებართვები შპს „დივა"-ზე (ს/კ 216425731).

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს #2-527 (29,06,2018 წ) ბრძანების თანახმად შპს „დივა"-ზე 2018 წლის 10 აპრილს სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, რომელიც მდებარეობს ქალაქი რუსთავი, მარის არხის III დასახლება, სს „რკინა-ბეტონი"-ის მიმდებარე ტერიტორი, ს/კ 02.07.02.896 უვადოდ გადაეცა შპს „მაქს იმპორტს".

ასევე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს #2-852 (24/09/2020 წ) ბრძანების თანახმად შპს „დივა"-ზე 2020 წლის 03 სექტემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „მაქს იმპორტს" რომელიც მდებარეობს ქალაქი რუსთავი, მარის არხის III დასახლება, სს „რკინა-ბეტონი"-ის მიმდებარე ტერიტორია, ს/კ 02.07.02.895.

საწარმოში დაიგეგმა ზემოთ აღნიშნული ორ ერთიდაიგივე საქმიანობაზე გაცემული (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდებზე 02.07.02.895 და 02.07.02.896) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებებით მიღებული ნებართვების გაერთიანება და შესაბამისი ახალი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება. მოხდა ზემოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთების გაერთიანება და მიენიჭა ახალი საკადასტრო კოდი 02.07.03.034.

ზემოთ აღნიშნულ საქმიანობებზე ასევე განხორციელდა წარმადობის გაზრდა, როგორც ახალი წისქვილის დამატებით, ასევე წლიური სამუშაო საათების გაზრდის ხარჯზე. კერძოდ;

3 ტ/სთ წარმადობის წისქვილის ტერიტორიაზე (ს/კ 02.07.02.895) მონტაჟდება ახალი დამატებით 10 ტ/სთ წარმადობის წისქვილი შესაბამისი სილოსებით და ინფრასტრუქტურით. ასევე წლიური სამუშაო საათების რაოდენობა, რომელიც ტოლი იყო 2400 საათის, გაიზრდება 7920 საათამდე. სილოსების რაოდენობა, რომელიც იყო 2 ცალი, გაიზარდა 5 ცალამდე.

8 ტ/სთ წარმადობის წისქვილის ტერიტორიაზე (ს/კ 02.07.02.896) არსებულ წისქვილში დასაფრქვავი დოლში ცემენტის დაფქვისათვის გამოყენებული ლითონის ბურთულები შეიცვალა ახალი უფრო წვრილი ბურთულებით, ასევე გამოიცვალა ბარაბანის ჯავშანი, რომელმაც მისცა საშუალება წისქვილის წარმადობა 8 ტ/სთ-დან

გაზრდილიყო 10 ტ/სთ წარმადობამდე. ასევე წლიური სამუშაო საათების რაოდენობა, რომელიც ტოლი იყო 4160 საათის, გაიზრდება 7920 საათამდე. სილოსების რაოდენობა, რომელიც იყო 3 ცალი, გაიზარდა 11 ერთეულებამდე.
ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ქარხანა ზემოთ აღნიშნულ16 ცალ სილოსებს გამოიყენებს ერთიანი სისტემით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა).

ამავე კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად. თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული ისეთი საქმიანობების განხორციელებას, რომლებიც ტექნიკურად ან/და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, იგი უფლებამოსილია წარუდგინოს სამინისტროს საერთო სკოპინგის ანგარიში და მოითხოვოს ერთი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა ამ კოდექსის შესაბამისად.

ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები..

აქედან გამომდინარე კოდექსის მე-5 პუნქტის შესაბამისად შემუშავებულ იქნა სკოპინგის ანგარიში, რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად.

წერილს თან ერთვის:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "მაქს იმპორტი"-ს ფილერისა და ცემენტის წარმოების საამქროს (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით) სკოპინგის ანგარიში და ელექტრული ვერსია;
- დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიის shp ფაილები.

პატივისცემით დავით ზურაბიშვილი
დირექტორი